



2014 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ინფორმაციული ტექნოლოგია
მესამე საფეხური

1. ზოგადი ნაწილი

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძვნება:

- "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონს (2010);
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეცილობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);
- შესაბამის პროფესიულ სტანდარტს
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 121-ე ბრძანებას "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესახებ;
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულში და მარეგულირებელ დოკუმენტებს:

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ინფორმაციული ტექნოლოგი

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

ინფორმაციული ტექნოლოგი 040153

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სულ 45 კრედიტს /1125 სთ/

- კრედიტების 60% -- 675 სთ/ ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს
- კრედიტების 40% --- 450 სთ/ ეთმობა თეორიულ კომპონენტს

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა 31 კვირა --7 თვე

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე დაიშვება პირი რომელსაც აქვს საბაზო განათლება და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე გადაღაზა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

3. პროფესიული პროგრამის მიზნები

ინფორმაციული ტექნოლოგი უნდა წარმოადგენდეს ინფორმატიკის დარგობრივი სფეროს პროფესიული კვალიფიკაციას.

ინფორმაციული ტექნოლოგს (IT) უნდა შეეძლოს კომპიუტერის პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის პროექტირების, შემუშავების, რეალიზაციის, ზოგადი უზრუნველყოფის და მართვის პროცესი.

ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს უნდა შეეძლოს პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა კვალიფიცირებული სპეციალისტი, უნდა ფლობდეს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს.

4. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგი პერსპექტივები:

სწავლის გაგრძელება შემდეგ საფეხურზე, ინფორმაციული ტექნოლოგიის ინფორმაციული პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეეძლება დასაქმდეს სამთავრობო, არა სამთავრობო და კომერციულ ორგანიზაციებში ტექნიკოსის თანამდებობაზე, კომპიუტერულ სერვისის ცენტრებში პრობლემების დისტანციურ უზრუნველყოფის სპეციალისტად, შეეძლება მუშაობა მცირე და საშუალო ტიპის ორგანიზაციებში IT სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო პროფილურ და დიდი მასშტაბის ორგანიზაციაში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ადმინისტრატორის თანაშემწედ.

5. პროფესიული პროგრამის მიზნები

5.1. სწავლის შედეგები/მიღწევის კრიტერიუმები - პროგრამის სასწავლო კურსები/ მოდულები

სწავლის შედეგები (ს.შ.) და შესრულების კრიტერიუმები (კ.)	რეკომენდირებული სასწავლო კურსები/ მოდულები
---	--

ს.შ.1. ცოდნა და გაცნობიერება	
<p>იცის: თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა: კომპიუტერების შიგა კომპონენტების (დედაპლატა, ცენტრალური პროცესორი, მუდმივი და ოპერატიული მეხსიერების მიკროსქემები, გამაგრებელი სისტემები, გაფართოების პლატები, ინფორმაციის შემნახველი მოწყობილობები, შიგა კაბელები) დანიშნულება და მახასიათებლები აპარატურული და პროგრამული უსაფთხოების წესები. სტაციონალური და პორტატიული კომპიუტერების მსგავსება და განსხვავება პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები ოპერაციული სისტემების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები ოპერაციული სისტემების აპარატურული უზრუნველყოფის მოთხოვნები და პლატფორმასთან შესაბამისობის განსაზღვრა ოპერაციული სისტემების დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა ოპერაციული სისტემების გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების მოწყობა კომპიუტერული ქსელის არსი და უპირატესობა ქსელური მოწყობილობების დანიშნულება და მახასიათებლები დამისამართება გამტარუნარიანობა და მონაცემთა გადაცემა ლოკალური ქსელის არქიტექტურა და ტოპოლოგიები კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები და ქსელური სერვისების გამოყენება აპარატურული და პროგრამული დიაგნოსტიკური საშუალებები და წარმოქმნილი პრობლემების გადწყვეტის საკითხები</p>	<p>კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა</p> <p>ოპერაციული სისტემების საფუძვლები</p> <p>კომპიუტერული ქსელების საფუძვლები</p> <p>საოფისე კომპიუტერული პროგრამები</p>
ს.შ.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	
<p>შეუძლია: კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა პროფილაქტიკური მომსახურება ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. გაუმართაობებსა აღმოფხვრა და კომპიუტერის შეკეთება პერიფერიული მოწყობილობების დამატება და გამართვა დრაივერების ინსტალაცია და განახლება. ოპერაციული სისტემების შერჩევა და კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია. სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა. მონაცემთა აღდგენა აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა წარმოქმნილი პრობლემების მიზეზების დადგენა და მისი კვალიფიკაციური აღმოფხვრა. მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა. ქსელური მოწყობილობების და კაბელის ტიპების არჩევა. ქსელის ინსტალაცია და ტესტირება ქსელური რესურსების კონფიგურაცია.</p>	<p>კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა</p> <p>ოპერაციული სისტემების საფუძვლები</p> <p>კომპიუტერული ქსელების საფუძვლები</p> <p>სასწავლო პრაქტიკა</p>
ს.შ.3 დასკვნის უნარი	
<p>შეუძლია: ტექნიკური დათვალიერების ან კლიენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წარმოქმნილ პრობლემების მიზეზების გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი კვალიფიციური აღმოფხვრა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება. ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით</p>	<p>საოფისე კომპიუტერული პროგრამები</p> <p>კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა</p>
ს.შ.4 კომუნიკაციის უნარი	

<p>შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან. კლიენტის მოთხოვნების მოსმენა და მისგან სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. კლიენტის კომპიუტერული პროგრამის განსაზღვრა. საჭიროების შემთხვევაში როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება, შეუძლია კლიენტის პრობლემის აღწერა და წერილობით გადმოცემა. ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან ან ხელმძღვანელებთან. ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</p> <p>აქვს ჯგუფში მუშაობის და კონკრეტულ გარემოს გარემოს და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.</p>	<p>კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა</p> <p>ოპერაციული სისტემების საფუძვლები</p> <p>კომპიუტერული ქსელების საფუძვლები</p> <p>სასწავლო პრაქტიკა</p> <p>უცხო ენა(ინგლისური)</p>
<p>ს.შ.5 სწავლის უნარი</p>	
<p>ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა.</p> <p>გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.</p>	<p>კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა</p> <p>ოპერაციული სისტემების საფუძვლები</p> <p>კომპიუტერული ქსელების საფუძვლები</p> <p>სასწავლო პრაქტიკა</p>
<p>ს.შ.6 ღირებულებები</p>	
<p>გაცნობიერებული აქვს პროფესიულ საქმიანობაში იურიდიული და ეთიკური ასპექტები.</p> <p>კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის სურვილებს. ასევე იცავს უსაფრთხოების წესებს.</p> <p>პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.</p>	<p>კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა</p> <p>ოპერაციული სისტემების საფუძვლები</p> <p>კომპიუტერული ქსელების საფუძვლები</p> <p>სასწავლო პრაქტიკა</p>

5.2. სწავლის შედეგები

სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერე ბა	ცოდნის პრაქტიკაში ი გამოყენებ ის უნარი	დასკვნის გაკეთები ს უნარი	კომუნიკ აციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულ ებები
უცხო ენა (ინგლისური)	X			X		
საოფისე კომპიუტერული პროგრამები	X	X		X		
კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა	X	X			X	
ოპერაციული სისტემების საფუძვლები	X	X			X	
კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	X	X	X			
სასწავლო პრაქტიკა	X	X	X			X
საწარმოო პრაქტიკა	X	X	X			

5.3. სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი, სწავლების ფორმა(ტიპი), საათებისა და კრედიტების განაწილება

სასწავლო 25 კვირა

საწარმოო პრაქტიკა 6 კვირა

	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა							სულ საათების რაოდენობა	კვირეული დატვირთვა	
			საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი საათები (საათი)			
			ლექცია /პრაქტიკული (საათი)	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა (საათი)	საწარმოო პრაქტიკა (საათი)	შუალედური/	დასკვნითი შეფასება (საათი)				
1	უცხო ენა (ინგლისური)	3	46					2	2	25	75	2
2	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	4	71					2	2	25	100	3
3	კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა	4	71					2	2	25	100	3
4	ოპერაციული სისტემების საფუძვლები	4	71					2	2	25	100	3
5	კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	3	46					2	2	25	75	2
6	სასწავლო პრაქტიკა	18,6			459			4	2		465	18,6
7	საწარმოო პრაქტიკა	8,4				204		4	2		210	35
9	სულ	45	305		459	204		18	14	125	1125	

5.4. სწავლების პროცესის ორგანიზება

სასწავლო კურსების/მოდულების კვირეული განაწილება

№	სასწავლო კურსები/მოდულები	კვირები																		ჯამი
		I	II	III	IV	·	·	XX	XXI	XXII	XXIII	XXIV	XXV	XXVI	XXVII	XXVIII	XXIX	XXX	XXXI	
1	უცხოენა(ინგლისური)	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2							50
2	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4							100
3	კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2							50
4	ოპერაციული სისტემების საფუძვლები	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3							75
5	კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2							50
6	სასწავლო პრაქტიკა	18	18	18	18	18	18	18	21	21	21	21	21							465
8	საწარმოო პრაქტიკა													35	35	35	35	35	35	210
9	ჯამი	31	31	31	31	31	31	31	34	34	34	34	34	35	35	35	35	35	35	1000

5.5. განმარტებები (დამატებითი ინფორმაცია)

სასწავლო სწავლება მოიცავს 25 კვირას, საწარმოო პრაქტიკა 6 კვირას. სასწავლო კურსების/მოდულების მონაცვლეობის აისახება სასწავლო კურსის/მოდულების კვირეულ განაწილებაში შემდეგნაირად: I კვირიდან XX კვირის ჩათვლით საათების კვირეული განაწილება შეადგენს 31 სთ; XX კვირიდან XXV კვირის ჩათვლით საათების კვირეული განაწილება შეადგენს 34 სთ; საწარმოო პრაქტიკის კვირეული დატვირთვა არის 35 სთ;

6. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

თითოეული საგნის სწავლების მეთოდთა დეტალურად აღწერილია შესაბამის სილაბუსში.

7. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

- ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.
- დამოუკიდებელი მეცადინეობა;
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- შემაჯამებელი შეფასებებისათვის მომზადება და ჩაბარება;

8. შეფასების სისტემა

8.1. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი

- ზეპირი გამოკითხვა
- დაკვირვება და დემონსტრირება

8.2. შეფასების ინსტრუმენტები

პრაქტიკული უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

პრაქტიკული დავალება

სიტუაციური ამოცანა

დემონსტრირება

შემეცნებითი უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

ზეპირი გამოკითხვა

ტესტი

8.3. სიზუსტის ხარისხი

თითოეული შედეგის შეფასებისათვის შერჩეული ინსტრუმენტი უზრუნველყოფს მაქსიმალურ სიზუსტეს. განსაზღვრულია შეცდომების რაოდენობა და მათი რაჩეობა მნიშვნელოვნების მიხედვით, განსაზღვრულია მინიმალური დადებითი ქულა. (შეფასების კრიტერიუმები თან ახლავს თითოეულ სილაბუსს)

8.4. შეფასებისათვის განკუთვნილი დრო

თითოეული შეფასებისათვის ინსტრუმენტის თავისებურებიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სათანადო დრო.

8.6. შეფასების ცხრილი

შეფასების ცხრილი		
სწავლის შედეგები	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების მეთოდები
<p>ს.შ.1 ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის: თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა: კომპიუტერების შიგა კომპონენტების (დედაპლატა, ცენტრალური პროცესორი, მუდმივი და ოპერატიული მეხსიერების მიკროსქემები, გამაგრილებელი სისტემები, გაფართოების პლატები, ინფორმაციის შემნახველი მოწყობილობები, შიგა კაბელები) დანიშნულება და მახასიათებლები აპარატურული და პროგრამული უსაფთხოების წესები. კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები და ქსელური სერვისების გამოყენება აპარატურული და პროგრამული დიაგნოსტიკური საშვალეები და წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის საკითხები ოპერაციული სისტემების დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა ოპერაციული სისტემების გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების მოწყობა კომპიუტერული ქსელის არსი და უპირატესობა ქსელური მოწყობილობების დანიშნულება და მახასიათებლები დამისამართება გამტარუნარიანობა და მონაცემთა გადაცემა ლოკალური ქსელის არქიტექტურა და ტოპოლოგიები სტაციონალური და პორტატიული კომპიუტერების მსგავსება და განსხვავება პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები ოპერაციული სისტემების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები ოპერაციული სისტემების აპარატურული უზრუნველყოფის მოთხოვნები და პლატფორმასთან შესაბამისობის განსაზღვრა</p>	<p>დემონსტრირება</p> <p>ზეპირი გამოკითხვა</p> <p>ტესტი</p> <p>პრაქტიკული დავალება</p>
<p>ს.შ. 2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია: კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა პროფილაქტიკური მომსახურება ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა წარმოქმნილი პრობლემების მიზეზების დადგენა და მისი კვალიფიკაციური აღმოფხვრა. მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა. ქსელური მოწყობილობების და კაბელის ტიპების არჩევა. ქსელის ინსტალაცია და ტესტირება ქსელური რესურსების კონფიგურაცია. ოპერაციული სისტემების შერჩევა და კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია. სამომხმარებლო და ანვირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა. მონაცემთა აღდგენა გაუმართაობებს აღმოფხვრა და კომპიუტერის შეკეთება პერიფერიული მოწყობილობების დამატება და გამართვა დრაივერების ინსტალაცია და განახლება.</p>	<p>დემონსტრირება</p> <p>ზეპირი გამოკითხვა</p> <p>ტესტი</p> <p>პრაქტიკული დავალება</p>

<p>ს.შ. 3 დასკვნის უნარი</p>	<p>კ.3.1. შეუძლია: ტექნიკური დათვალიერების ან კლიენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წარმოქნილ პრობლემების მიზეზების გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი კვალიფიცირებული აღმოფხვრა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება. ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით</p>	<p>ზეპირი გამოკითხვა დემონსტრირება პრაქტიკული დავალებ ტესტი</p>
<p>ს.შ.4 კომუნიკაციის უნარი</p>	<p>კ.4.1. ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან ან ხელმძღვანელებთან. ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. აქვს ჯგუფში მუშაობის და კონკრეტულ გარემოს გარემოს და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი. შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან. კლიენტის მოთხოვნების მოსმენა და მისგან სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. კლიენტის კომპიუტერული პროგრამის განსაზღვრა. საჭიროების შემთხვევაში როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება, შეუძლია კლიენტის პრობლემის აღწერა და წერილობით გადმოცემა.</p>	<p>პრაქტიკული დავალება ზეპირი გამოკითხვა ტესტი</p>
<p>ს.შ. 5 სწავლის უნარი</p>	<p>კ.5.1. ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა. გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.</p>	<p>პრაქტიკული დავალება ტესტი</p>
<p>ს.შ.6 ღირებულებები</p>	<p>კ.6.1. გაცნობიერებული აქვს პროფესიულ საქმიანობაში იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის სურვილებს. ასევე იცავს უსაფრთხოების წესებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.</p>	<p>პრაქტიკული დავალება</p>

9. ადამიანური რესურსი

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
უცხო ენა (ინგლისური)	ნანა ფილფანი	ინგლისური ენის მასწავლებელი
სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა	ბექა ხერგიანი	ფიზ. აღზრდისა და სპორტის სპესიალისტი. კომპიუტერული სისტემისა და ქსელის ადმინისტრირების შემსწავლელი კურსი PT პერსონალური კომპიუტერის მომხმარებლის მოსამზადებელი სპეციალური კურსი
კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა	ბექა ხერგიანი	ფიზ. აღზრდისა და სპორტის სპესიალისტი. კომპიუტერული სისტემისა და ქსელის ადმინისტრირების შემსწავლელი კურსი PT პერსონალური კომპიუტერის მომხმარებლის მოსამზადებელი სპეციალური კურსი
ოპერაციული სისტემების საფუძვლები	ბექა ხერგიანი	ფიზ. აღზრდისა და სპორტის სპესიალისტი. კომპიუტერული სისტემისა და ქსელის ადმინისტრირების შემსწავლელი კურსი PT პერსონალური კომპიუტერის მომხმარებლის მოსამზადებელი სპეციალური კურსი
კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	ბექა ხერგიანი	ფიზ. აღზრდისა და სპორტის სპესიალისტი. კომპიუტერული სისტემისა და ქსელის ადმინისტრირების შემსწავლელი კურსი PT პერსონალური კომპიუტერის მომხმარებლის მოსამზადებელი სპეციალური კურსი
საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა	ელგუჯა გაბრიჭიძე	გეოგრაფიის მასწავლებელი კომპიუტერის მომხმარებელ-ოპერატორი.

10. მატერიალური რესურსი

სასწავლო აუდიტორია

კომპიუტერული აუდიტორია

სასწავლო ლაბორატორია

11. საწარმოო პრაქტიკის გავლის ადგილი

კოლეჯის ბაზაზე

12. პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

დოკუმენტის სახე და მისასანიჭებელი კვალიფიკაცია

პროფესიული დიპლომი

ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

13. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება

ხელმოწერა:

საგანმანათლებლო დაწესებულება:

პროგრამის დამტკიცების ბრძანების ნომერი